ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #77
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ქუთაისი 8 ნოემბერი 2019 წ.

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიმკარიანის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **ს/ს „ქებული კლიმატი"'** მისი **დირექტორის თეიმურაზ არზიანის** (ს/კ 20228342)სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლის გათბობის სისტემის გამართული მუშაობისათვის კომლექსური დეტექტორის (NG+CO) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. CPV--38431100

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 49 (ორმოცდაცხრა) ლარს და 00 თეთრს.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვისა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშწორება

3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.
3.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.1 ანგარიშწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლოობაში.

მუხლი 4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა

4.1 საქონლის მიღების ადგილია ქ.ქუთაისი აღმაშენებლის ქ. N19ა
4.2 მომსახურეობის მიწოდება ხორციელდება 2019 წლის 8 ნოემბრიდან 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
4.3 ხელშკრულების 1.1. პუნქტით წარმოდგენილ პროდუქციაზე გარანტიის ვადის ათვლა იწყება პროდუქციის მიწოდების თარიღიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე) და შეადგენს 1 (ერთი) წელს;
4.4 იმ შემთხვევაში თუ საგარანტიო 1 წლის ვადაში გამოვლენილი იქნება მიწოდებული პროდუქციის წუნი, შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დაადგინოს წუნის გამომწვევის მიზეზი. იმ შემთხვევაში თუ საქონლის გაუმართაობა გამოწვეულია ქარხნული წუნის გამო, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით, 10 სამუშაო დღეში აღმოფხვრას გაუმართაობა. იმ შემთხვევაში თუ გაუმართაობის აღმოსაფხვრელად საჭიროა პროდუქციის საზღვარგარეთიდან ჩამოტანა, გაუმართაობის გასწორების ვადებზე შეთანხმება ხდება დამატებით, გონივრულობის ფარგლებში.
4.5 საგარანტიო პირობები არ მოქმედებს თუ ნაკლი გამოწვეულია შემსყიდველის ბრალით, მათ შორის პროდუქციის არასწორი ექსპლუატაციით;

4.6გარანტიის მოქმედების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის საფასურის სრულად გადახდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

დამკვეთი ვალდებულია:

5.1 შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;

5.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

. შემსრულებელი ვალდებულია:

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა წარმოადგინოს მითითებულ ვადაში

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია:

3.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

5.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

7.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

7.3 მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

7.4 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

8.2 ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

9.1 მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

9.3.დავის სასამართლო განსჯადობის მიზნისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო შეუსრულებელი ვალდებულების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ასეთი ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა მის. გ.ტაბიძე N58 ტელ. 0431272928 ს/კ 212850155 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა GE08TB7544934020100001	ს/ს ,,ქებული კლიმატი“ მის: ქ.ქუთაისი აღმაშენებლის 19ა ს/კ 202283242 საბანკო რეკვიზიტები: ელფოსტა:ks@qebuli.ge მომსახურე ბანკი პროკრედიტი ა/ა GE41PC0223600100005176
დირექტორი მურადი ჯიშკარიანი _____ (ხელმოწერა)	**დირექტორი თეიმურაზ არზიანი** _____ (ხელმოწერა)
ბ.ა	ბ.ა

JSC Qebuli Climate

Digitally signed by JSC Qebuli Climate
Date: 2019.11.11 10:27:55 +04'00'

მიღება ჩაბარების აქტი

ქუთაისი 8 ნოემბერი 2019 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის მურადი ჯიშკარიანის სახით , ხოლო მეორეს მხრივ ს/ს ,,ქებული კლიმატი" მისის დირექტორის თეიმურაზ არძიანის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა 2019 წლის 8 ნოემბრის შესყიდვის N77 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 (ერთი) ცალი კომპლექსური დეტექტორი რომლის ღირებულება შეადგენს **49 (ორმოცდაცხრა) ლარს და 00 თეთრს.**

დამკვეთი:

სსიპ იოსებ ოცხელის სახელობის ქალაქ ქუთაისის №2 საჯარო სკოლა

დირექტორი: მურადი ჯიშკარიანი

_____

(ხელმოწერა)

შემსრულებელი:

ს/ს „ქებული კლიმატი

დირექტორი თეიმურაზ არზიანი

_____

(ხელმოწერა)

JSC Qebuli Climate

Digitally signed by JSC Qebuli Climate
Date: 2019.11.11 10:28:18 +04'00'